საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №786

2006 წლის 21 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ.ა“, ქვეპუნქტის საფუძველზე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 21 მარტის №258 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

დანართი №1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულება

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება აწესრიგებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში – სასაზღვრო პოლიცია) სტატუსს, დანიშნულებას, სტრუქტურას, კომპეტენციას, უფლება-მოვალეობებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტატუსი და კომპეტენციის ფარგლები

1. სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სპეციალური სამსახური და სამართალდამცავი ორგანო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

2. სასაზღვრო პოლიციას აქვს გერბი და დროშა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. სასაზღვრო პოლიციას აგრეთვე აქვს ნამდვილი და პირობითი სახელწოდება, ემბლემა, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბისა და თავისი სახელწოდების გამოსახულებით, უნიფორმა, ბლანკები, შტამპები და ოფიციალური ვებგვერდი.

3. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია სასაზღვრო პოლიციურ ღონისძიებებს ახორციელებს:

ა) სახელმწიფო საზღვარზე;

ბ) სასაზღვრო ზოლში (500 მეტრი სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან);

გ) სასაზღვრო ზონაში (5 კმ);

დ) საერთაშორისო აეროპორტებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ უფლებამოსილებას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო).

ე) საქართველოს საზღვაო სივრცეში და ღია ზღვაში;

ვ) პორტებში;

ზ) სასაზღვრო სარკინიგზო სადგურებში;

თ) კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა, სასაზღვრო-გამტარი პუნქტისა).

4. სასაზღვრო პოლიციის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

5. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სოციალური დაცვა და მატერიალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

6. სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

7. სასაზღვრო პოლიციის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0160 თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ.№12.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

მუხლი 3. სასაზღვრო პოლიციის უფლებამოსილება

1. სასაზღვრო პოლიცია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ამ დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით.

[1. სასაზღვრო პოლიცია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ და „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, ამ დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან)***]

1^1. სასაზღვრო პოლიციის ფუნქციებია:

ა) დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი და განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა ინსპექტირება;

ბ) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო, სადაზვერვო, კონტრდაზვერვითი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

გ) სამართალდარღვევათა გამოვლენისა და მასზე რეაგირების მიზნით განახორციელოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები;

დ) კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ღონისძიებები.

2. სასაზღვრო პოლიცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სასაზღვრო და საზღვაო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან, მონაწილეობს ტრანსსასაზღვრო დანაშაულობათა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო საქმიანობაში.

3. სასაზღვრო პოლიცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

ა) ამყარებს ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებს სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს;

გ) კომპეტენციის ფარგლებში აფორმებს უცხოეთის შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან, საერთაშორისო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ხელშეკრულებას ან/და შეთანხმებას (მიუხედავად მისი ფორმისა და სახელწოდებისა), რომელიც არ წარმოადგენს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას და არ რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებისა ან/და შეთანხმების გაფორმება საჭიროებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ხელშეკრულება ან/და შეთანხმება წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) კლასიფიცირებულ ინფორმაციას/დოკუმენტს.

4. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სასაზღვრო პოლიციას აქვს ინფორმაციის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვის, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის, ადმინისტრაციული სახდელის დადების, გაჩერების, დაკავების, ჩხრეკის, ამოღების, ტვირთის, ქონების, სათავსის დათვალიერების, ადამიანის შემოწმების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოქმედებების შესრულების უფლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №567 - ვებგვერდი, 22.11.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანება №50 - ვებგვერდი, 09.07.2024წ.

მუხლი 4. სასაზღვრო პოლიციის ძირითადი ამოცანები

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასაზღვრო პოლიციის ამოცანებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე;

გ) სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება;

დ) უცხოელთა ინსპექტირება, მიგრაციისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

ე) სამაშველო ოპერაციების განხორციელება ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში – ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით კი – საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;

ვ) (ამოღებულია);

ზ) (ამოღებულია);

თ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარზე, საზღვაო სივრცეში, პორტებსა და გემებზე, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება;

ი) შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, უცხო სახელმწიფოების სასაზღვრო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხებში თანამშრომლობა, სასაზღვრო საკითხებზე საერთაშორისო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება;

ი[1]) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“ მონაწილეობა;

კ) ზღვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ლ) საქართველოს საზღვაო სივრცეში ბიორესურსების მოპოვებაზე და სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი;

მ) საქართველოს ნავსადგურების დაცვა და უსაფრთხოება;

ნ) საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი.

ო) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საქართველოს საზღვაო სივრცეში ტრეფიკინგის, კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების, პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში, დანაშაულობათა გამოვლენა-აღკვეთისა და თავიდან აცილების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების ჩატარება, აგრეთვე ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

ჟ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის, სასაზღვრო ზონისა და საზღვაო სივრცის დაცვასა და კონტროლთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

რ) სასაზღვრო პოლიციის შემდგომი განვითარებისა და უწყების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი კონცეფციების შემუშავება;

[რ[1]) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ დაწესებულებასთან კოორდინაციით სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სპეციალური პროფესიული გადამზადება ან/და კვალიფიკაციის ამაღლება; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან)***]

ს) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, ზონასა და საზღვაო სივრცეში არსებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მისი შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეაგირების მექანიზმების შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველყოფა;

ტ[1]) საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებისა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (შემდგომში – საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი) ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

უ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის ბრძანება №411 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანება №66 - ვებგვერდი, 29.07.2019წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №131 - ვებგვერდი, 28.12.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანება №50 - ვებგვერდი, 09.07.2024წ.

მუხლი 5. განსაკუთრებული ამოცანების შესრულება

1. სასაზღვრო პოლიციის განსაკუთრებული ამოცანებია:

ა) დაეხმაროს სხვა უწყებებს სტიქიური უბედურებების, კატასტროფების ან სხვა განსაკუთრებული საფრთხის დროს;

ბ) დაეხმაროს შესაბამის უწყებებს კარანტინის გამოცხადებისას და საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებაში;

გ) შეასრულოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ეროვნული თავდაცვის ვალდებულება;

დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ – მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრებისა და სახელმწიფოს სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების, აგრეთვე მათი თანმხლები პირების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება;

ე) საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს მართლწესრიგის დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ღონისძიებებსა და სპეციალურ ოპერაციებში;

ვ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. საომარი მდგომარეობის დროს სასაზღვრო პოლიცია გადადის საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში.

3. სასაზღვრო პოლიცია უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 ივნისის ბრძანება №344 - ვებგვერდი, 30.06.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 14.04.2021წ.

თავი II

მუხლი 6. სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა, სტრუქტურა და საქმიანობის ორგანიზება

1. სასაზღვრო პოლიცია წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

2. სასაზღვრო პოლიციას მართავს და ხელმძღვანელობს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. (ამოღებულია - 31.12.2013, №996);

4. სასაზღვრო პოლიციის ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე, უწყების საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს ხელმძღვანელობენ უფროსის მოადგილეები.

5. სასაზღვრო პოლიციის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

6. სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი;

ბ) სანაპირო დაცვის დეპარტამენტი;

ბ[1]) სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი;

გ) ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო);

დ) იურიდიული სამმართველო;

ე) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;

ვ) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო;

ზ) სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამმართველო;

თ) კინოლოგიის სამმართველო;

ი) ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველო;

კ) ანალიტიკური სამმართველო;

ლ) (ამოღებულია - 28.12.2022, №133);

მ) სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო;

ნ) საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო;

ო) საინფორმაციო ტექნოლოგიების მთავარი სამმართველო;

პ) მონიტორინგის სამმართველო;

[ჟ) სასწავლო ცენტრი (სამმართველო). ***(ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან)***]

7. (ამოღებულია - 31.12.2013, №996).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის ბრძანება №495 - სსმ III, 21.04.2008, №60, მუხ.695
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 მარტის ბრძანება №219 - ვებგვერდი, 21.03.2012 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის ბრძანება №548 - ვებგვერდი, 23.07.2012 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 აპრილის ბრძანება №270 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 აპრილის ბრძანება №314 - ვებგვერდი, 24.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 26 აპრილის ბრძანება №320 - ვებგვერდი, 29.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996 - ვებგვერდი, 31.12.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 23.01.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 16 ივლისის ბრძანება №533 - ვებგვერდი, 17.07.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის ბრძანება №411 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 23 ივნისის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 23.06.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 01.07.2021წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 29.12.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 მაისის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 25.05.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანება №50 - ვებგვერდი, 09.07.2024წ.

მუხლი 7. სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილება

1. სასაზღვრო პოლიციის უფროსი:

ა) პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე სასაზღვრო პოლიციაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს სასაზღვრო პოლიციის მუშაობას და ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას;

გ) უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანებები და დირექტივები, რომლებიც აუცილებელია სასაზღვრო პოლიციისათვის კანონით დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად დამოუკიდებლად ან/და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სხვა სუბიექტებთან ერთად;

$გ^1$) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

დ) განსაზღვრავს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და უფლებამოსილებას;

ე) ხელმძღვანელობს სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფების ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურისა და რიცხოვნობის შესახებ, ასევე, სამართლებრივი აქტების პროექტებს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ზ) ხელმძღვანელობს სასაზღვრო პოლიციის კოორდინირებულ მუშაობას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან;

თ) უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს სასაზღვრო პოლიციას მოსაზღვრე და სხვა სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში, სასაზღვრო, სამართალდამცავ და სამხედრო ორგანოებში, კანონმდებლობის შესაბამისად დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ასევე კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ხელს აწერს უცხოეთის შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან, საერთაშორისო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ისეთ ხელშეკრულებას ან/და შეთანხმებას, რომელიც არ წარმოადგენს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას და არ რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით;

ი) ამტკიცებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

[$ი^1$) კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო ცენტრის (სამმართველო) წარდგინებით ამტკიცებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სპეციალური პროფესიული გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემუშავებულ კურსებს/პროგრამებს, შესაბამის სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებს;

$ი^2$) სასწავლო ცენტრის (სამმართველო) წარდგინებით ამტკიცებს მსმენელის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს;

$ი^3$) გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს სპეციალური პროფესიული გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის/პროგრამის გავლასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების მიზნით;

$ი^4$) ამტკიცებს სასაზღვრო პოლიციის სასწავლო ცენტრში (სამმართველო) ჩარიცხულ მსმენელთა ქცევის წესს;

$ი^5$) გასცემს სპეციალური პროფესიული გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი კურსის/პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ამტკიცებს მის ფორმას;***(ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან)***]

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენს კანდიდატურებს სასაზღვრო პოლიციის უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ნიშნავს, გადააადგილებს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფორმებს, აგრძელებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს;

$ლ^1$) შვებულებაში უშვებს, აგრეთვე, სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, შვებულებას უწყვეტს და სამსახურის გასაგრძელებლად იძახებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს;

მ) სამსახურებრივ მივლინებაში გზავნის სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეებსა და სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების შესაბამისად, წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს;

ო) ანიჭებს სასაზღვრო პოლიციის პირველად სპეციალურ წოდებებს, აგრეთვე მორიგ სპეციალურ წოდებებს პოლკოვნიკის (I რანგის კაპიტანი) ჩათვლით;

პ) ანიჭებს რიგგარეშე სპეციალურ წოდებებს პოლკოვნიკის (I რანგის კაპიტანი) ჩათვლით;

ჟ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სასაზღვრო პოლიციის

მოსამსახურეების უმაღლესი სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ;

რ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სასაზღვრო პოლიციის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში შეტანის შესახებ;

ს) ხელმძღვანელობს სასაზღვრო პოლიციის საერთო საკადრო და უწყების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების პოლიტიკას;

ტ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილი წესით განკარგავს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრებს და მატერიალურ ფასეულობებს;

უ) განსაზღვრავს და აკონტროლებს სასაზღვრო პოლიციის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელ საქმიანობას;

ფ) ადგენს სასაზღვრო პოლიციის ყოველწლიური მოთხოვნილებების შესაბამისად ყველა სახის კმაყოფაზე საკვები პროდუქტების, სანივთე ქონების, ინვენტარის, შეიარაღების, ტექნიკის, სპეციალური და სტანდარტული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სათბობის, საწვავ-საპოხი მასალების, საავიაციო ტექნიკისა და სხვა აუცილებელი მატერიალური ფასეულობების რაოდენობასა და უზრუნველყოფისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს;

ქ) აკონტროლებს სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფების სამსახურებრივ, ადმინისტრაციულ, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას;

ღ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის საკითხებს;

ყ) ფულადი ჯილდოთი, მადლობის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებს და საპატიო წოდებებს ანიჭებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, აგრეთვე სხვა პირებს სასაზღვრო პოლიციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში აქტიური დახმარებისათვის;

შ) სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთებზე (გარდა სასაზღვრო გამტარი პუნქტებისა) წარმომადგენლობითი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასანიშნად წარუდგენს წარმომადგენელთა კანდიდატებს;

ჩ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სასაზღვრო პოლიციის ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების ესკიზებს;

ც) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ;

ძ) სასაზღვრო პოლიციის უფროსს უფლება აქვს გადასცეს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილება მის დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულისა და ქვედანაყოფის უფროსს;

წ) ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე ანაწილებს უფლება-მოვალეობებს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა შორის.

2. სასაზღვრო პოლიციის უფროსს უფლება აქვს კომპეტენტურ პირებზე განახორციელოს ამ ბრძანებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა დელეგირება საკადრო, საფინანსო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში უფროსის უფლებამოსილებათა დელეგირებას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 მარტის ბრძანება №318 - სსმ III, 19.03.2008, №41, მუხ.472
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის ბრძანება №494 - სსმ III, 21.04.2008, №60, მუხ.694
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის ბრძანება №548 - ვებგვერდი, 23.07.2012 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №567 - ვებგვერდი, 22.11.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №62 - ვებგვერდი, 07.05.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 23 ივნისის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 23.06.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 14.04.2021წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 01.07.2021წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანება №50 - ვებგვერდი, 09.07.2024წ.

თავი III

მუხლი 8. სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი

1. სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში და სასაზღვრო ზონაში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის კონტროლს და ორგანიზებას უწევს საზღვრის დაცვას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთების დაცვას და უზრუნველყოფს ქვედანაყოფების მუდმივ მზადყოფნას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, დამოუკიდებლად ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებთან ურთიერთქმედებით ახორციელებს სასაზღვრო-პოლიციურ, ორგანიზაციულ-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, მიგრაციულ, გარემოსდაცვით და სხვა ღონისძიებებს;

$გ^1$) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციითა და ურთიერთქმედებით ახორციელებს სასაზღვრო-პოლიციურ, ადმინისტრაციულ, მიგრაციულ და იძულების სხვა ღონისძიებებს;

დ) ახორციელებს სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის საქმიანობის ანალიზს;

ე) აკონტროლებს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვის საკითხებზე გამოცემული ნორმატიული აქტებით

გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ასევე კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ვ) საერთაშორისო სამართლის ნორმების, პრინციპებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი რეჟიმის დაცვისა და სამიგრაციო კონტროლის სრულყოფის მიზნით შეიმუშავებს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვის განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებს, დირექტივებსა და ინსტრუქციებს;

ზ) სასაზღვრო პოლიციის სამმართველოებთან ერთად კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარების წინადადებების შემუშავებაში და მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების განსაზღვრაში;

თ) ახორციელებს: საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვას; სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვას; უზრუნველყოფს სასაზღვრო რეჟიმით დადგენილი წესების დაცვასა და კონტროლს

ი) ახორციელებს ძალებისა და საშუალებების მზადყოფნისა და მათი ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფას;

კ) ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტოლის მეთოდების შემუშავებას, ოპერაციების დაგეგმვას და უზრუნველყოფს მათ ჩატარებას;

ლ) ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტების რეგიონულ ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედებას;

მ) კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას ახდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ნ) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით ახორციელებს სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში მისაღებ კანდიდატთა მომზადებას;

2. სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით. იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ სასაზღვრო პოლიციის უფროსის წინაშე.

3. სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი:

ა) საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებებისა და განკარგულებების საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს სამსახურებრივ საკითხებზე, ამოწმებს მათ შესრულებას;

ბ) სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკადრო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებას;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს მისდამი დაქვემდებარებული ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილებების დელეგირებას;

დ) სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფების სამსახურებრივი საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებული ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას;

ე) ხელმძღვანელობს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და მის განხორციელებას, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა და მისაღებ კანდიდატთა სპეციალურ მომზადებას სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობის საფუძველზე.

4. სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სასაზღვრო საქმიანობის დაგეგმარების, კოორდინაციისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო;

ბ) სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველო (ბათუმი);

გ) სასაზღვრო პოლიციის №2 სამმართველო (ახალციხე);

დ) სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველო (წითელი ხიდი);

ე) სასაზღვრო პოლიციის №4 სამმართველო (დედოფლისწყარო);

ვ) სასაზღვრო პოლიციის №5 სამმართველო (ლაგოდეხი);

ზ) სასაზღვრო პოლიციის №6 სამმართველო (ბარისახო);

თ) სასაზღვრო პოლიციის №7 სამმართველო (ყაზბეგი);

ი) სასაზღვრო პოლიციის №8 სამმართველო (ჯავა-ონი);

კ) სასაზღვრო პოლიციის №9 სამმართველო (მესტია);

ლ) სასაზღვრო პოლიციის №10 სამმართველო (ზემო აფხაზეთი).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №1321 - სსმ III, 21.11.2006, №156, მუხ.2160
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 თებერვლის ბრძანება №289 - სსმ III, 26.02.2007, №25, მუხ.311
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 1 ივნისის ბრძანება №792 - სსმ III, 05.06.2007, №79, მუხ.849
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №710 - ვებგვერდი, 30.08.2012წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

მუხლი 9. სანაპირო დაცვის დეპარტამენტი

1. სანაპირო დაცვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს საზღვაო სივრცეში სასაზღვრო-საზღვაო პოლიტიკის გატარებას, დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შესრულებაზე კონტროლს და საერთაშორისო სამართლის ნორმებით დადგენილი ზომების მიღებას;

ბ) დამოუკიდებლად ან საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლზე პასუხისმგებელ ორგანოებთან ურთიერთქმედებით ახორციელებს სასაზღვრო-პოლიციურ, ორგანიზაციულ-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, მიგრაციულ, გარემოსდაცვით, ძებნა-გადარჩენით და სხვა საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლთან დაკავშირებული ამოცანების შესრულების ორგანიზებას, მართვასა და ხელმძღვანელობას;

დ) შეიმუშავებს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვისა და კონტროლის მეთოდებს, გეგმავს ოპერაციებს და უზრუნველყოფს მათ ჩატარებას;

ე) ორგანიზებას უკეთებს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვასა და უსაფრთხოებას;

ვ) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციითა და ურთიერთქმედებით ახორციელებს სასაზღვრო-პოლიციურ, ადმინისტრაციულ, მიგრაციულ და იძულების სხვა ღონისძიებებს;

ზ) უზრუნველყოფს სანაპირო დაცვისადმი გამოყოფილი რესურსების ეფექტურ და ოპტიმალურ გამოყენებას;

თ) ამზადებს სანაპირო დაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებს;

ი) ორგანიზებას უკეთებს სანაპირო დაცვის პირადი შეამადგენლობის ჯანმრთელობის დაცვასა და სამედიცინო უზრუნველყოფას;

კ) გეგმავს მცურავი საშუალებების, ტექნიკისა და შეიარაღების რემონტსა და მოდერნიზაციას;

ლ) უზრუნველყოფს სანაპირო დაცვის ობიექტებისა და ტერიტორიების დაცვას, უსაფრთხოებასა და მოვლა-პატრონობას;

მ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სანაპირო დაცვის საქმიანობის დაგეგმარებას, კონტროლსა და სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ნ) უზრუნველყოფს სანაპირო დაცვის საკითხებზე სამართლებრივი აქტების კონტროლს და სამსახურებრივი საქმიანობის შედეგების ანალიზს;

ო) შეიმუშავებს სანაპირო დაცვის განვითრების გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამების, დირექტივებისა და ინსტრუქციების პროექტებს;

პ) კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას ახდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ჟ) მონაწილეობს სამხედრო-საზღვაო სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებში;

ჟ[1]) მონაწილეობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის შტაბებს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების ტაქტიკური მემორანდუმის ფარგლებში;

რ) საქართველოს საზღვაო სივრცეში ახორციელებს რადიოლოკაციურ და ჰიდროაკუსტიკურ კონტროლს;

ს) უზრუნველყოფს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას ოპერაციულ დონეზე;

ტ) უზრუნველყოფს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის საქმიანობის ორგანიზებას, ინფორმაციულ-ანალიტიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და სამართლებრივ მხარდაჭერას, ხელს უწყობს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრისთვის დაკისრებული ამოცანების ეფექტიან და ჯეროვან განხორციელებას, მონაწილე უწყებათა კომუნიკაციას;

უ) უზრუნველყოფს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში მონაწილე უწყებებისაგან ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, მათთვის გადაცემასა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვას;

ფ) ასრულებს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

2. სანაპირო დაცვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით. იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ სასაზღვრო პოლიციის უფროსის წინაშე.

3. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი:

ა) საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის გამოცემული ნორმატიული აქტების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებებისა და განკარგულებების საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს სამსახურებრივ საკითხებზე, ამოწმებს მათ შესრულებას;

ბ) სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკადრო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებას;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს მისდამი დაქვემდებარებული ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილებების დელეგირებას;

დ) შეიმუშავებს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფების სამსახურებრივი საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში გამოყენებას;

ე) შეიმუშავებს საქართველოს სანაპირო დაცვის განვითარების სტრატეგიას და უზრუნველყოფს მის განხორციელებას, ხელმძღვანელობს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადებას სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობის საფუძველზე.

4. სანაპირო დაცვის დეპარტამენტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველო;

ბ) (ამოღებულია - 23.01.2024, №4);

გ) საინჟინრო-სარემონტო სამმართველო;

დ)საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო;

ე) საკადრო უზრუნველყოფის განყოფილება;

ვ) საქმისწარმოების განყოფილება;

ზ) სამართლებრივი უზრუნველყოფის ქვეგანყოფილება;

თ) საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველო.

5. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელიც იმავდროულად არის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის უფროსი. სამმართველოს უფროსი ინიშნება სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, 4 წლის ვადით.

6. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც იმავდროულად არის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის უფროსის მოადგილე. სამმართველოს უფროსის მოადგილე ინიშნება სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, 2 წლის ვადით.

7. (ამოღებულია - 23.01.2024, №4).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის ბრძანება №93 - ვებგვერდი, 04.02.2011 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანება №66 - ვებგვერდი, 29.07.2019წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №131 - ვებგვერდი, 28.12.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 მაისის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 25.05.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 24.01.2024წ.

მუხლი 9[1]. სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი

1. სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის, სასაზღვრო ზონისა და საზღვაო სივრცის კონტროლს;

ბ) სახელმწიფო საზღვარზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების დროს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

გ) სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის, სასაზღვრო ზონისა და საზღვაო სივრცის მონიტორინგს - ძებნას, საჰაერო თვალთვალსა და პატრულირებას;

დ) სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობით სასაზღვრო-პოლიციურ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ე) საგანგებო სიტუაციით (მათ შორის, სტიქიური უბედურება, ხანძარი) გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებების განხორციელებას სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ვ) ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში, განსაკუთრებულ შემთხვევაში – საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, სამაშველო მოქმედებებში მონაწილეობას, ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით, აგრეთვე, სამსახურებრივ-ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

ზ) მაღალმთიან რეგიონებსა და ძნელად მისასვლელ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებას (სტიქიური უბედურების დროს, აგრეთვე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, აუცილებელი ყოფითი პრობლემების მოგვარების მიზნით და სხვა.);

თ) გეგმური და არაგეგმური ამოცანების შესრულების მიზნით მფრინავი და ტექნიკური პერსონალის მუდმივ მზადყოფნას;

ი) ანგარ-ლაბორატორიაში კუთვნილი და სხვა სახელმწიფო ორგანოების საფრენი აპარატების ტექნიკურ მომსახურებას;

კ) მფრინავი და ტექნიკური პერსონალის შერჩევას, მომზადებას და გადამზადებას;

ლ) საფრენი აპარატების მომსახურებაზე მფრინავი და ტექნიკური პერსონალის დაშვებას;

მ) საფრენი აპარატების გამართულობას და საჭიროების შემთხვევაში საავიაციო ტექნიკის ვარგისიანობის დადგენას;

ნ) საფრენოსნო და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ო) პირადი შემადგენლობის, სურსათისა და სხვა ტვირთის ტრანსპორტირებას;

პ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრებისა და სახელმწიფოს სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების, აგრეთვე, მათი თანმხლები პირების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას;

ჟ) დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობას;

რ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით. იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ სასაზღვრო პოლიციის უფროსის წინაშე.

3. სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის დირექტორი:

ა) საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებებისა და განკარგულებების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათ შორის, შვეულმფრენის გაფრენის შესახებ და ამოწმებს მათ შესრულებას;

ბ) სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საკადრო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პოლიტიკას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ახდენს მისდამი დაქვემდებარებული ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილებების დელეგირებას;

დ) შეიმუშავებს სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივი საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებს და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში გამოყენებას;

ე) ხელმძღვანელობს სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა მომზადებას/გადამზადებას სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობის საფუძველზე;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) უზრუნველყოფის სამმართველო;

ბ) ტექნიკური მომსახურების ცენტრი (მთავარი სამმართველო);

გ) შვეულმფრენების ესკადრილია (მთავარი სამმართველო);

დ) თვითმფრინავების სატრანსპორტო ესკადრილია (მთავარი სამმართველო);

ე) საფრენოსნო ვარგისიანობის ტექნიკური მომსახურების, ხარისხის კონტროლისა და საავიაციო უსაფრთხოების სამმართველო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 10. ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო)

ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ბ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის უფროსისა და მოადგილეების დავალებათა შესრულების კონტროლს;

გ) ახორციელებს არასაიდუმლო და საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზებას და საერთო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვასა და ინსპექტირებას;

დ) (ამოღებულია - 14.04.2021, №31)*;*

ე) უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას;

ვ) სამოქალაქო სექტორთან ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, უზრუნველყოფს კომუნიკაციის შესაბამისი სტანდარტების და სტრატეგიის შექმნას და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას, საზოგადოებასთან სტრატეგიულ კომუნიკაციასა და მედიასთან თანამშრომლობას;

ზ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობას, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლსა და სადაზღვევო კომპანიასთან თანამშრომლობას;

თ) (ამოღებულია - 23.01.2024, №4);

ი) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, აგრეთვე სასაზღვრო პოლიციის უფროსის/უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1635 - სსმ III, 03.01.2008, №1, მუხ.24
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 11 მარტის ბრძანება №318 - სსმ III, 19.03.2008, №41, მუხ.472
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 მარტის ბრძანება №219 - ვებგვერდი, 21.03.2012 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 14.04.2021წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 24.01.2024წ.

მუხლი 10^1. იურიდიული სამმართველო

იურიდიული სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებას, შემოსული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას და სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებას;

ბ) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციის საფუძველზე უზრუნველყოფს საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების პროექტების შედგენას, ექსპერტიზას, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

გ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საერთო კოორდინაციას,

შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების კონტროლს, ამასთანავე, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებს უწევს სამართლებრივ კონსულტაციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს საჯარო ინფორმაციას, განიხილავს სასაზღვრო პოლიციაში შემოსულ კორესპონდენციას და ახდენს შესაბამის რეაგირებას;

ვ) წარმოადგენს სასაზღვრო პოლიციას საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოში, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან სამართლებრივი ურთიერთობისას.

ზ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სახელით განცხადებების/ადმინისტრაციული საჩივრების განხილვას და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 აპრილის ბრძანება №270 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

მუხლი 10^2. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 აპრილის ბრძანება №270 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.

მუხლი 10^3. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო

კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო:

ა) წარმართავს სასაზღვრო პოლიციის ადამიანური რესურსების მართვის ერთიან პოლიტიკას;

ბ) უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების შერჩევას, მოზიდვას, განაწილებას და შენარჩუნებას, აგრეთვე აორგანიზებს მოსამსახურეთა სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მიზნით შესაბამისი მასალების მომზადებას;

დ) ახორციელებს სააღრიცხვო-საშტატო მუშაობას, პერსონალის რიცხობრივ და ხარისხობრივ ანალიზს;

ე) შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ამზადებს სამუშაოს აღწერილობებს საშტატო ნუსხით დადგენილი თანამდებობებისთვის;

ვ) შეიმუშავებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამუშაოს შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემის მართვას;

ზ) შეიმუშავებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა პროფესიული და კარიერული განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს მომზადებისა და გადამზადების პრიორიტეტულ მიმართულებებს; შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, აორგანიზებს მოსამსახურეთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებებს;

თ) უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მასალების ან/და ბრძანების პროექტის მომზადებას;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 14.04.2021წ.

მუხლი 10^4. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებას და შემდგომ კოორდინაციას, შესაბამისი ვიზიტების, შეხვედრების დაგეგვმასა და ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო საქმიანობის ორგანიზებას, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებთან კოორდინაციის საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ამზადებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების პროექტებს და ხელს უწყობს მათი განხორციელების პროცესში სასაზღვრო პოლიციის სრულფასოვან მონაწილეობას;

გ) კოორდინაციას უწევს სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო საქმიანობას არალეგალური მიგრაციისა და სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2. საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ის მოადგილე, რომელიც იმავდროულად არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის შტაბში მივლინებული მეკავშირე ოფიცერი, ინიშნება სასაზღვრო პოლიციის უფროსის წარდგინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 24.01.2024წ.

მუხლი 10^5. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.

მუხლი 10[6]. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.

მუხლი 10[7]. სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამმართველო

სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობაში და ორგანიზებას უწევს მის საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სასაზღვრო გეოინფორმაციული მონაცემთა ბაზების შევსებას/განახლებას, სასაზღვრო პოლიციის კარტოგრაფიულ საქმიანობას, სპეციალური ტოპოგრაფიული რუკების შედგენასა და სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულებისათვის მიწოდებას;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო ნიშნების განლაგებასა და მათი მდგომარეობის სისწორის განსაზღვრას, ამასთანავე, სასაზღვრო ნიშნების განლაგების დარღვევისა და დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ინფორმაციის მიწოდებას შემდგომი რეაგირების მიზნით;

დ) უზრუნველყოფს სასაზღვრო წარმომადგენლის (სასაზღვრო კომისარი) საქმიანობის მხარდაჭერას;

ე) უზრუნველყოფს სასაზღვრო წარმომადგენლის (სასაზღვრო კომისარი) მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მიწოდებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან ან მათ წარმომადგენლებთან თანამშრომლობას;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

მუხლი 10[8]. კინოლოგიის სამმართველო

კინოლოგიის სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს სამსახურებრივი დანიშნულების ძაღლების წვრთნას და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებებისთვის გამოყენებას, აგრეთვე ნარკოტიკული, ფეთქებადი ნივთიერებებისა და სხვა საგნების აღმოჩენის და კვალის აღების შესახებ სწავლების ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურებრივი დანიშნულების ძაღლებით მომსახურე სასაზღვრო პოლიციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეების, გამყოლი კინოლოგებისა და კინოლოგ-სპეციალისტების სათანადო მომზადებას, ასევე მათი მომზადება-გადამზადების კონტროლს;

გ) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით უზრუნველყოფს კინოლოგ-სპეციალისტთა სასწავლო შეხვედრებში, სხვადასხვა დონის შეჯიბრებებსა და პროფესიული დონის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობის დაგეგმვასა და ორგანიზებას;

დ) სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით უზრუნველყოფს საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

მუხლი 11. ოპერატიულ - საგამოძიებო მთავარი სამმართველო

ოპერატიულ - საგამოძიებო მთავარი სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს სასაზღვრო-პოლიციურ და პრევენციულ ღონისძიებებს, აგრეთვე ოპერატიულ - სამძებრო, სადაზვერვო და კონტრდაზვერვით საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა გამოვლენას, მათზე რეაგირებასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას;

გ) უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების გამოძიებას;

დ) აწარმოებს ოპერატიულ-სამძებრო და შესაბამისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას;

ე) უზრუნველყოფს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას, უკანონო მიგრაციის ფაქტების გამოვლენას, აღკვეთასა და პრევენციას, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა მონაცემების მოპოვებას, დადგენას, ძებნას, დაკავებას და დროებითი განთავსების ცენტრში/დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანას;

ვ) უზრუნველყოფს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის, ასევე ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას, არსებული მდგომარეობის განვითარების შესაძლო ტენდენციების შესწავლასა და პრევენციას;

ზ) უზრუნველყოფს საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლას და ერთობლივი ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებების დაგეგმვას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს .

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანება №452 - ვებგვერდი, 17.06.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 16 ივლისის ბრძანება №533 - ვებგვერდი, 17.07.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 მარტის ბრძანება N239 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №643 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

მუხლი 11[1]. ამოღებულია
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

მუხლი 11[2]. ანალიტიკური სამმართველო
ანალიტიკური სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
ა) ღია წყაროების დამუშავებას, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს;
ბ) სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, საზღვაო სივრცესა და საზღვრისპირა რეგიონებში არსებული ვითარების შესწავლას;
გ) სახელმწიფო საზღვარზე რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას, არსებული ტენდენციების განსაზღვრას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
დ) სასაზღვრო პოლიციის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, თემატური კვლევების განხორციელებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას;
ე) საინფორმაციო-ანალიტიკური ცნობების, კვლევითი დოკუმენტების და სტრატეგიული ანალიტიკური ანგარიშების მომზადებას;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №664 - ვებგვერდი, 25.11.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

მუხლი 12. (ამოღებულია)
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 18 აპრილის ბრძანება №495 - სსმ III, 21.04.2008, №60, მუხ.695
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 აპრილის ბრძანება №314 - ვებგვერდი, 24.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 ივნისის ბრძანება №344 - ვებგვერდი, 30.06.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 13. სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო
სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო არის სასაზღვრო პოლიციის უფროსის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებით სახელმწიფო საზღვარზე ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის უზრუნველსაყოფად.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.

მუხლი 14. საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო:
ა) ორგანიზებას უწევს სასაზღვრო პოლიციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებას, მის განხორციელებას, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვას;
ბ) შეიმუშავებს სასაზღვრო პოლიციის ბიუჯეტს;
გ) ანაწილებს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს შესაბამის ქვედანაყოფებზე;
დ) მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე აკონტროლებს დაგეგმვის, დაფინანსებისა და აღრიცხვა-ანგარიშსწორების ღონისძიებებს;
ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსურად უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის ღონისძიებებს;
ვ) აკეთებს ბიუჯეტის შესრულების ანალიზს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს, აფორმებს ხელშეკრულებებს მიმწოდებელთან და აკონტროლებს მიწოდებული საქონლის ხარისხს;
ზ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების სატრანსპორტო, სამეურნეო და მომარაგების უზრუნველყოფას;
თ) ახორციელებს მატერიალური ფასეულობების მიღებას, გაცემა-განაწილებასა და აღრიცხვას;
ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და საინჟინრო საშუალებების სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებზე გაცემა-განაწილებასა და აღრიცხვას;
კ) აკონტროლებს სასაზღვრო პოლიციის საყაზარმო და საბინაო ფონდის ექსპლუატაციას, დადგენილი წესის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა-განაწილებას;
ლ) უზრუნველყოფს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის დაპროექტებას, მშენებლობას და მის სწორ ექსპლუატაციას.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 აპრილის ბრძანება №270 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 30 ივნისის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 01.07.2021წ

მუხლი 15. საინფორმაციო ტექნოლოგიების მთავარი სამმართველო

საინფორმაციო ტექნოლოგიების მთავარი სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიას, ერთიან პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმას;

ბ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულებისა და მათდამი დაქვემდებარებული დანაყოფების რადიოლოკაციური, სენსორული, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემებით აღჭურვას, არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით დაკომპლექტებისა და შესაძლებლობის ანალიზს;

გ) რადიოლოკაციური, სენსორული, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განვითარებისა და სასაზღვრო მონიტორინგის ერთიან სისტემაში ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს ახალი ტექნოლოგიების შესწავლას, ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრასა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებას;

დ) აკონტროლებს რადიოლოკაციური, სენსორული, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების ექსპლუატაციის სისწორეს, ტექნიკურ მომსახურებასა და ინფორმაციული უსაფრთხოების ღონისძიებათა შემუშავებას;

ე) უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური პროგრამების დანერგვას;

ვ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

მუხლი 15[1]. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის ბრძანება №411 - ვებგვერდი, 28.07.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანება №570 - სსმ III, 08.05.2008, №70, მუხ.752
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 23.01.2014წ.

მუხლი 17. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1601 - სსმ III, 31.12.2009, №160, მუხ.2022
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 აპრილის ბრძანება №270 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1439 - სსმ III, 31.12.2008, №187, მუხ.1975
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 მარტის ბრძანება №219 - ვებგვერდი, 21.03.2012 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 201 4 წლის 8 მარტის ბრძანება №186 - ვებგვერდი, 10.03.2014წ.

მუხლი 19. მონიტორინგის სამმართველო

მონიტორინგის სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების გეგმურ და არაგეგმურ შემოწმებას, დისციპლინური ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენას, პრევენციას და სათანადო რეაგირებას;

ბ) ახორციელებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული, ასევე სასაზღვრო პოლიციის უფროსის და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების კონტროლს;

გ) გამოვლენილი ხარვეზების, შემოსული განცხადებების/საჩივრების საფუძველზე ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას, შესაბამისი ცნობების/დასკვნების მომზადებასა და მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე სასაზღვრო პოლიციის უფროსისათვის წინადადებების წარდგენას;

დ) სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, გამოითხოვს ინფორმაციას/დოკუმენტაციას სტრუქტურული ერთეულებიდან, აწარმოებს მიმოწერას შესაბამის დანაყოფებთან;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 06.03.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №70 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 მაისის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 25.05.2023წ.

[მუხლი 20. სასწავლო ცენტრი (სამმართველო)

სასწავლო ცენტრი (სამმართველო) კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სასაზღვრო პოლიციის მიზნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სასაზღვრო

პოლიციის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების საჭიროებებსა და სწავლების ძირითად მიმართულებებს;

ბ) ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სპეციალურ პროფესიულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შორის, თეორიული და პრაქტიკული საველე მეცადინეობების ორგანიზებასა და ჩატარებას დღის და ღამის პირობებში, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში;

გ) შეიმუშავებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთათვის შესაბამის პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სასაზღვრო პოლიციის უფროსს;

დ) შეიმუშავებს სწავლებისა და სწავლების საჭიროებების ანალიზის მეთოდოლოგიას, ნერგავს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს, უზრუნველყოფს მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;

ე) უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის/პროგრამის დაგეგმვას სასაზღვრო პოლიციის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულთან და სამინისტროს სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით;

ვ) უზრუნველყოფს კურსის/პროგრამის მსმენელთა შეფასებას გამოცდის/ტესტირების ჩატარებით ან სხვა სახის შეფასების სისტემის საშუალებით;

თ) კურსის/პროგრამის დასრულების შემდეგ გასცემს შესაბამის სერტიფიკატს;

ზ) სასწავლო და შეფასების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან)***]

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 8 ივლისის ბრძანება №50 - ვებგვერდი, 09.07.2024წ.